საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 82/02-06
08/02/2019

82-02-06-4-201902081631

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის თეორიული ფიზიკის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლის არსენ ხვედელიძის რუსეთის ფედერაციაში მივლინებისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს შრომის კოდექსის” მე-12 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ნაწილების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის № 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ’’ და ,,პ’’ ქვეპუნქტების, "სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის" თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის №12/04 ერთობლივი ბრძანების მე-2 მუხლის მე-13 და მე-14 პუნქტების, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ნინო ფარცვანიას 2019 წლის 7 თებერვლიდან №1980/10 განცხადების (თან ახლავს პირადი განცხადება) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2019 წლის 19 თებერვლიდან 12 აპრილამდე ქალაქ დუბნაში (რუსეთის ფედერაცია) დუბნის ბირთვული კვლევის გაერთიანებული ინსტიტუტის ინფორმაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიაში კვანტურ ინფორმაციის და კვანტურ გამოთვლების არეში სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი არსენ ხვედელიძე, მივლინების ხარჯების ანაზღაურების გარეშე.
2. შეუჩერდეს შრომის ანაზღაურება 2019 წლის 5 აპრილიდან 2019 წლის 12 აპრილამდე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის თეორიული ფიზიკის განყოფილების მეცნიერ თანამშრომელს არსენ ხვედელიძეს.
3. დაევალოს არსენ ხვედელიძეს წარუდგინოს მივლინების ანგარიში თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე;

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 229 42 88 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

4. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი);
5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი